განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## საზოგადოებრივი ჯანდაცვა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 29-30 აპრილი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 15.06.2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **საზოგადოებრივი ჯანდაცვა** |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი 0919 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა მებონია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ჯიქია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვახტანგ თებიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თსუ-ში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო მიმართულებით სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება არსებობს. 1994 წლის 25 აპრილს თსუ სამეცნიერო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის შესახებ, რომლის მიხედვითაც მაგისტრატურის საფეხური ამოქმედდა ყველა ფაკულტეტზე. მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრატურაში სწავლება მიმდინარეობდა სპეციალობით: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა";

სამაგისტრო პროგრამამ „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ნომერი 94, თარიღი 17/10/2011). პროგრამა ამჟამად წარდგენილია რეაკრედიტაციაზე. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია (4 სემესტრი). 1-3 სემესტრში აუდიტორულ მეცადინეობები ტარდება, ხოლო მე-4 სემესტრში მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომზე დამოუკიდებლად მუშაობს, ამავე პერიოდში მაგისტრანტი სამაგისტრო პროგრამის მომზადების, კვლევის ჩატარების და სხვა საკითხების თაობაზე კონსულტაციებს გადის სამეცნიერო ხემძღვანელთან ერთად (საშუალოდ კვირაში ერთხელ, ან უფრო ხშირად საჭიროების მიხედვით).

თითოეულ სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობაა 30 ECTS. სულ 2 წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით საგნებს. სავალდებულოა 6, ხოლო არჩევითია 3 საგანი, ასევე არჩევითია კვლევითი პროექტის მომზადება (თითოეული არჩევითი საგანი 5 კრედიტს მოიცავს), მაგისტრანტს საშუალება ეძლევა მესამე სემესტრში აირჩიოს სამიდან ერთ-ერთი არჩევითი საგანი, ან მოამზადოს კვლევითი პროექტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

29-30 აპრილის კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დისტანციური შეფასება წარიმართა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო და „საზოგადობრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის მიზნით. აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში დილის 10:20 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, ბაზები) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრები წარიმართა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამის მიზნები შემუშავებულია თსუ მისიისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად და მასში ასახულია დარგობრივი მახასიათებლები. პროგრამის საბოლოო მიზანია სტუდენტებისთვის აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდება, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რათა პროგრამის დასასრულს იყვნენ ჩამოყალიბებული სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან დასაქმების თვალსაზრისით, მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ თავიანთი წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე და ამდენად, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ მიზნებთან, ასევე, დარგობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან და პროგრამის მიზნებთან. პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

სამაგისტრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამართლიანია და გამორიცხავს რაიმე სახის დისკრიმინაციას ან არათანაბარ პირობებს. კერძოდ, პროგრამაზე მიიღებიან ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის ფართო სფეროს ერთსაფეხურიანი და საბაკალავრო პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულები. სამაგისტრო პროგრამაზე მიღება არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი.
სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი ინსტრუქციის გათვალისწინებით. ხორციელდება უწყვეტი ხარისხის კონტროლი. პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია; მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე მიღწევები.

საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებსა და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, სტუდენტების ჩართულობა. ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენცია.
საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სილაბუსებში წარმოდგენილია თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა, კომპონენტების ხვედრითი წილი, მოცემულია განმარტებები სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგიასთან

დაკავშირებით. შეფასების კომპონენტების და მათი ხვედრითი წილის შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა.

სამაგისტრო პროგრამას „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. მაღალი კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ გამოცემული სახელმძღვანელოებით და გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. მაგისტრანტებს აქვთ ღია ურთიერთობა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან. სტუდენტები სათანადო კონსულტაციებს იღებენ და ინფორმირებული არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, კარიერული განვითარების და სხვა საკითხებზე;
„საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებულია ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც) ბაზაზე (თბილისი, კახეთის გზატკეცილი N99, ადმინისტრაციული კორპუსი). შესაბამისად, აკადემიური პერსონალი სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ განსახორციელებლად დკსჯეც სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით სარგებლობს.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში და ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და მონიტორინგი რეგულარული პროცესია რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები - როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები. შეფასების პროცესში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, ისე სხვა დაინტერესებული მხარეები, კერძოდ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა” გარე შეფასება აკრედიტაციის მიზნით განხორციელდა 2011 წელს, რის შემდეგაც პერიოდულად ხორციელდებოდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამის მიზნებში სასურველია აისახოს უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიმართულების მნიშვნელოვანი საკითხი — სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება.
  - პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის ოპტიმიზაციის მიზნით სასურველია, პროგრამის ფარგლებში ცალკე

მოდულად (სასწავლო კურსად) გამოიყოს „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“. ეს შეიძლება მოხდეს სამ მოდულად წარმოდგენილი „ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტის“ ხარჯზე.

- სასურველია, სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის შეფარდების გადახალისება - თუ არჩევითი საგნებისთვის საათების გაზრდა ვერ ხერხდება, მაშინ, იქნებ თითოეული არჩევითი საგნისთვის კრედიტების რაოდენობა შემცირდეს ისე, რომ სტუდენტებმა სულ ცოტა, ორი არჩევითი საგნის შერჩევა და გავლა შეძლონ.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განისაზღვროს მინიმალური ქულა (60 ქულიდან), რაც უნდა დააგროვოს მაგისტრანტმა, რომ ის დაშვებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე.
- ეპიდემიოლოგიის სასწავლო კურსებში „ლექცია/პრაქტიკუმზე დასწრების“ კომპონენტი უმჯობესია შეიცვალოს „ლექცია/პრაქტიკუმზე აქტივობით“.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სამაგისტრო პროგრამის 2011 წლის (წინა) აკრედიტაციის საანგარიშო დოკუმენტების მიხედვით ერთ-ერთ რეკომენდაცია გახლდათ - „პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კოპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა რამდენიმე კურსის სილაბუსში, უმჯობესი იქნება თუ უკეთ დაზუსტდება სწავლის შედეგები“. მიმდინარე აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ სასწავლო კურსის სილაბუსებში აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია.
ასევე ნაწილობრივ გამოსწორებულია მეორე რეკომენდაცია - საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია და სასწავლო გეგმაში გაწერილია სემესტრებად, მაგრამ სასურველია, სილაბუსებშიც მითითებული იყოს სწავლის სემესტრი - სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებულია სწავლის სემესტრი.
განმეორებითი აკრედიტაციისას ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს ახალი არჩევითი საგანი „ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავდებათა პრევენცია“.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამის მიზნები შემუშავებულია თსუ მისიისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად და მასში ასახულია დარგობრივი მახასიათებლები. პროგრამის საბოლოო მიზანია სტუდენტებისთვის აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდება, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რათა პროგრამის დასასრულს იყვნენ ჩამოყალიბებული სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან დასაქმების თვალსაზრისით, მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ თავიანთი წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. აღნიშნული მიზანი რეალისტურია და მიღწევადი.<br>ძირითადი მიზნის მისაღწევად პროგრამის შუალედური მიზანები ითვალისწინებს მაგისტრანტებს შეასწავლოს ყველა ის საკითხი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, კერძოდ სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბიოლოგიური, გარემო ფაქტორები და სხვ. გლობალური ჯანმრთელობის გამოწვევების, ჯანდაცვის სისტემის მოწყობისა და მართვის საკითხების კონტექსტში. სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენს მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის თეორიულ, პრაქტიკულ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს. შეისწავლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებული პროფესიული და კონტექსტუალური საკითხები.<br><br>**საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, კერძოდ, მიზანი 16.**<br>პროგრამა შესაბამისობაშია მისიის იმ პუნქტებთან, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე |

ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას; თავისუფალი სამყაროს ღირსეულ წევრობას.

თსუ-ს მისიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია "კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება". ასევე, პირველი სტრატეგიული მიმართულება არის "სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა". თუმცა, ეს საკითხები პროგრამის მიზნებში არ არის გამოკვეთილი. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კვლევების საკითხი ლაიტმოტივად გასდევს თითოეულ სილაბუსს, მაგრამ იზიარებს წინადადებას, რომ ის შეიძლება აისახოს პროგრამის მიზნებშიც.
**პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024) ძირითად** მიმართულებებთან და მიზნებთან, კერძოდ ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებიდან შეესაბამება: II. სტრატეგიულ მიმართულებას: საგანმანათლებლო საქმიანობა; III. სტრატეგიულ მიმართულულებას: სტუდენტური ცხოვრება. თავსებადია პროგრამისა და თსუ სტრატეგიული განვითარების მიზნებიც: სტრატეგიული მიზანი IV - სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში, სტრატეგიული მიზანი V -საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია, სტრატეგიული მიზანი VI - საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია. მაგალითად, მეხუთე და მეექვსე სტრატეგიული მიზანების მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა უპირველესად ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე, რაც მიღწევადია პროგრამის მოდერნიზაციის, საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისა და შრომის ბაზარზე ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“( დანართი №1)
- პროგრამის სილაბუსები (დანართი №1)
- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის #79 დადგენილება https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/792018//
- თსუ აკადემიური საბჭოს მეირ 2018 წლის 26 თებერვალის #80 დადგენილება https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/802018/
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024) (https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2018-2024_93990.pdf).
- მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტების, მაგისტრანტების და დამსაქმებლების გამოკითხვის ანგარიში (დანართი 10).

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის მიზნებში სასურველია აისახოს უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიმართულების მნიშვნელოვანი საკითხი — სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე და ამდენად, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ მიზნებთან, ასევე, დარგობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან და პროგრამის მიზნებთან. პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის

მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს იმ უნარებს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი.
„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ პროგრამის აღწერილობა იძლევა საფუძველს, დარწმუნებული ვიყოთ, რომ სწავლების მიმდინარეობის პერიოდში მაგისტრანტი შეძლებს მიიღოს ცოდნა, რომელიც ეფუძნება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მიღებულ განათლებას, მაგისტრანტი მიიღებს ცოდნას ჯანდაცვის სისტემის შესახებ, ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ეპიდემიოლოგიაში, ბიოეთიკასა და სამედიცინო სამართალში, გარემოს ჯანმრთელობის და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებში. მეცნიერული კვლევის ჩატარების თაობაზე მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს დამოუკიდებლად დაგეგმოს, განახორციელოს, გააანალიზოს და ჩამოაყალიბოს რელევანტური დასკვნები და რეკომენდაციები. მაგისტრანტს ექნება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უნარი. შესწავლილი საკითხების საფუძველზე ექნება პრობლემის დანახვის და მის გადასაჭრელად წინადადებების მომზადების უნარი.
„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო პროგრამა და მისი შემადგენელი ნაწილები სტრუქტურირებულია ისე, რომ მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სწავლების უახლეს მიდგომებს და მეთოდებს, რომელიც მაგისტრანტებს უქმნის საფუძველს თავად შეისწავლონ საზოგადოებრივ ჯანდაცვის აქტუალური საკითხები, გაიაზრონ და შეიმუშაონ ინოვაციური მიდგომები, მონაწილეობა მიიღონ კვლევებში და განავითარონ ახალი, ორიგინალური იდეები.
წარმოდგენილი სასწავლო კურსების გაცნობით შეიქმნა შთაბეჭდილება, რაც მოგვიანებით სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩაატრებული ინტერვიუებითაც დადასტურდა, რომ მაგისტრანტებს მიღებული ცოდნის საფუძველზე ექნებათ ანალიზის და სინთეზის, აგრეთვე, მეცნიერულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ მოძიებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი, ხოლო პრაქტიკული საქმიანობის დროს, პრობლემის გადასაჭრელად გამოთქმული მოსაზრებების პრაქტიკული რეალიზების დროს გამოავლინოს მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობა და დაიცვას ეთიკური ნორმები; მაგისტრანტი შეძლებს თავისი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენას, მის მკაფიო დასაბუთებას შესაბამისი, ცოდნით, მსჯელობითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; განსხვავებული აზრის მოსმენა, ოპონირება და საკუთარი აზრის დასაბუთება არგუმენტირებულად, იქ სადაც შესაძლებელია მეცნიერული მტკიცებულებებზე დაყრდნობით.
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებული და აღიარებული ღირებულებების, ზნეობრივი და მორალური ფასეულობების შესახებ, ცოდნის მიღებასთან ერთად, მაგისტრანტს შესაძლებლობა ექნება გამოხატოს ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულება, ასევე შეეძლება სხვების დამოკიდებულების შეფასება და პატივისცემა, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.
როგორც თვითშეფასების დეკუმენტშია მითითებული და ინტერვიუების დროს დადასტურდა, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მონაწილეობდა აკადემიური პერსონალიც. შედეგების ფორმირებისას

გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა რეკომენდაციები, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკულ სწავლებაზე მეტი ორიენტირება, სწავლების მეთოდებისა და კვლევის უნარების გაუმჯობესება, ყურადღების გამახვილება ღირებულებების გამომუშავებაზე. პროგრამის შედეგებზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციები და შენიშნვები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტების, მაგისტრანტების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები (დანართი 17)
- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“( დანართი №1)
- პროგრამის სილაბუსები (დანართი №1)
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- სწავლის შედეგების შეფასების ცხრილი(დანართი №9)
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამართლიანია და გამორიცხავს რაიმე სახის დისკრიმინაციას ან არათანაბარ პირობებს.<br>კერძოდ, პროგრამაზე მიიღებიან ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის ფართო სფეროს ერთსაფეხურიანი და საბაკალავრო პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულები. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა, ასევე, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“. სპეციალობაში გამოცდისთვის საკითხები და ლიტერატურა განთავსებულია მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.<br>პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესებით. პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო |

დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესებით.
სამაგისტრო პროგრამაზე მიღება არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი. პროგრამაზე მიღება ხდება თსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე, სადაც წარმოდგენილია გამოცდების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა მიღების პირობები, ასევე, განსაზღვრულია სასწავლო პროგრამით და ფაკულტეტის დებულებით - თავი IX, საგანმანათლებლო პროგრამები, მუხლი 26. მაგისტრატურაში მიღების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- სამაგისტრო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
- მაგისტრატურაში მიღების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ვადები და წარსადგენი დოკუმენტაცია https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/pr/news/Xgo_Bl3PcKlHme79/?p=12)
- მედიცინის ფაკულტეტის დებულება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| --- |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის N153/2017 დადგენილებით „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“.<br>სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი ინსტრუქციის გათვალისწინებით. ხორციელდება უწყვეტი ხარისხის კონტროლი, რისთვისაც გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის სტუდენტთა სემესტრული აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტთა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგთა გამოკითხვები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიერ უზრუნველყოფილი სწავლების ხარისხის შეფასება. პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.<br>პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, რასაც განსაზღვრავს გამოსაცხადებელი სემესტრი და/ან საგანზე დაშვების წინაპირობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ეტაპობრივად მარტივიდან რთულის, ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე მიღწევები. პროგრამის სტრუქტურა და კონცეფცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.<br>წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურის და სასწავლო კურსების სილაბუსების გაცნობით დგინდება, რომ პროგრამის ფარგლებში სავალდებული საგნებს შეადგენს „ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი“, „ეპიდემიოლოგია“, „ბიოსტატისტიკა და ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები“, „ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის საფუძვლები“, „გარემოს ჯანმრთელობა“, „ინგლისური ენა“, „სამაგისტრო ნაშრომის მომზადება.“ მართალია, აღნიშნულ სასწავლო კურსებში მოცულია გლობალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალური საკითხები და გამოწვევები, თუმცა ისინი გაფანტულია სხვადასხვა მოდულებში და რამდენადმე ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. თუნდაც მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათალისწინებით, სასურველია, პროგრამის ფარგლებში ცალკე მოდულად გამოიყოს „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“. ეს შეიძლება მოხდეს სამ მოდულად წარმოდგენილი „ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტის“ ხარჯზე.<br>პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიური წელს, ანუ 4 სემესტრს და მოიცავს 120 კრედიტს; აკადემიური წელი მოიცავს 36 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისაგან - შემოდგომის (18 კვირა) და გაზაფხულის (18 კვირა). თითოეულ სემესტრში 16 სასწავლო კვირაა, სწავლება სემესტრულია (თითოეულ საგანში ერთი ლექცია-სემინარი კვირის |

| |
|---|
| მანძილზე) თითოეული საგნის ფარგლებში მე-8 სასწავლო კვირას ტარდება შუალედური გამოცდა. თითოეული საგნის სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, სემესტრის ბოლოს, მე-16 კვირას, ინიშნება დასკვნითი გამოცდა. თითოეულ საგანში სემესტრის მე-17 - მე-18 კვირას ტარდება განმეორებითი გამოცდები. სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობაა 30 **ECTS.**<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად 2 წლის განმავლობაში სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 120 ECTS, რაც გულისხმობს პროგრამის ძირითად საგნებს 115 ECTS (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შესრულება - 30 ECTS) და არჩევითი საგნის – 5 ECTS, რასაც სტუდენტი ირჩევს შემოთავაზებული საგნების 20 ECTS კრედიტიდან. ასევე, სასურველია, სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის შეფარდების გადახალისება. თუ პროგრამის ხელმძღვანელები თვლიან, რომ არჩევითი საგნებისთვის საათების გაზრდა ვერ ხერხდება, მაშინ, იქნებ თითოეული არჩევითი საგნისთვის კრედიტების რაოდენობა შემცირდეს ისე, რომ სტუდენტებმა სულ ცოტა ორი არჩევითი საგნის შერჩევა და გავლა შეძლონ.<br>პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს **საკონტაქტო** და **დამოუკიდებელ** მუშაობას. რაც გულისხმობს: პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლებას/სწავლას, ლექციებს, სამუშაო ჯგუფებში სემინარულ და პრაქტიკულ სწავლებას/მუშაობას, პრეზენტაციების მომზადებას და წარდგენას/დაცვას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებას და ჩაბარებას.<br>დამოუკიდებელი მუშაობა, თავის მხრივ, გულისხმობს დამოუკიდებელ მუშაობას ზედამხედველობის ქვეშ და დამოუკიდებელ მუშაობას ზედამხედველობის გარეშე.<br>1 ECTS = 25 სთ. აქედან 12 სთ საკონტაქტო და 13 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის.<br>სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.<br>პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.<br>პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი. ფართო სფერო ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა (09), ვიწრო სფერო ჯანდაცვა (091), დეტალური სფერო ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული (0919), სწავლის სფერო 0919.1.1. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამაგისტრო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ დადგენილება №100/2019 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ;<br>○ თსუ მედიცინის ფაკულტეტის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი;<br>○ სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ კურიკულუის განვითარების სხდომის ოქმი № 2;<br>○ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №97, 02.04.2018 „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის ოპტიმიზაციის მიზნით სასურველია, პროგრამის ფარგლებში ცალკე მოდულად (სასწავლო კურსად) გამოიყოს „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“. ეს შეიძლება მოხდეს სამ მოდულად წარმოდგენილი „ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტის“ ხარჯზე.<br>○ სასურველია, სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის შეფარდების გადახალისება - თუ არჩევითი საგნებისთვის საათების გაზრდა ვერ ხერხდება, მაშინ, იქნებ თითოეული არჩევითი საგნისთვის კრედიტების რაოდენობა შემცირდეს ისე, რომ სტუდენტებმა სულ ცოტა, ორი არჩევითი საგნის შერჩევა და გავლა შეძლონ.<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა მაგისტრანტებს სთავაზობს ძირითადი მიმართულების სავალდებულო (115 ECTS), პროგრამის არჩევით (5 ECTS 20-დან) სასწავლო კურსებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე, უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ კრედიტების განაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალის მოცულობიდან.

პროგრამის სასაწავლო კურსებს სემესტრების შესაბამისად და საგნებში თემების რიგითობას გააჩნია თანმიმდევრული ლოგიკურად აგებული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები და თანაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული. პროგრამის სტრუქტურა ადეკვატურია სტუდენტისთვის და ადვილად აღსაქმელი.

საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან.

პროგრამის ზოგადი შედეგები დაფუძნებულია შესაბამისი სფეროს აქტუალურ მიღწევებსა და სახელმწიფოს ხედვებზე. თითოეული სასწავლო კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტები გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალიდან. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა/სასწავლო მასალა არის უახლესი, კლასიკური და თანამედროვე სწავლებაში აღიარებული. ლიტერატურა ხელმისაწვდომია მაგისტრანტისათვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუქა;
- საბიბლიოთეკო სერვისის შემოწმება;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციეში და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, სტუდენტების ჩართულობა. ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენცია.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. მაგისტრანტები ასრულებენ კვლევაზე დაფუძნებულ სამაგისტრო ნაშრომებს, ასევე სასწავლო კურსში გათვალისწინებულია მცირე კვლევის ჩატარება და სტატისტიკურ პროგრამებში სამოდელო შედეგების მიღება; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მაგისტრანტის სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობას და ფინანსურ/საინფორმაციო მხარდაჭერას. კონკრეტული საკითხების საკვლევად, ფინანსირების უზრუნველყოფა, საჭიროებისას ხდება დამატებითი ფონდების მიება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუქა;

- სამაგისტრო ნაშრომები
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა;
- „საზოგადოებრივი ჯანდაცვა„ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს კვლევებზე დაფუძნებული ცოდნის დაგროვება, გადაცემა, გამოყენება და განვითარება.<br>პროგრამის მიხედვით სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სწავლის ფორმები: ინტერაქტიული მეცადინეობები, როლური თამაში, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლება, მცირე კვლევების ჩატარება, პოსტერი, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, გუნდური მუშაობის მეთოდი/ჯგუფში მუშაობის მეთოდი შემთხვევების შესწავლა და ანალიზი, სიმულაცია. გარდა აღნიშნულისა გამოიყენება ისეთი ტრადიციული მეთოდები, როგორებიცაა: ლექცია-სემინარი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ვიდეო-აუდიო სწავლების მეთოდი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდი, ხელძღვანელობა/მენტორობა.<br>სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამაგისტრო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ სამაგისტრო ნაშრომები;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

| |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მაგისტრანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით. შეფასების თითოეული კომპონენტის ჯამი წარმოადგენს 100 ქულას, რომელიც გულისხმობს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.<br>სილაბუსებში წარმოდგენილია თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა, კომპონენტების ხვედრითი წილი, მოცემულია განმარტებები სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. შეფასების კომპონენტების და მათი ხვედრითი წილის შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა.<br>შეფასების ძირითადი კომპონენტებია რეფერატის მომზადება, პრეზენტაცია და სტატიების კრიტიკული ანალიზი. ასევე, ეპიდემიოლოგიის სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტებში გათვალისწინებულია ლექცია/პრაქტიკუმებზე დასწრება.<br>შუალედური და საბოლოო გამოცდები არის ტესტური ან წერითი. საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებულია აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხიც.<br>სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: ნაშრომის ფორმალური და შინაარსობრივი მხარე (60 ქულა) და ნაშრომის პრეზენტაცია (40 ქულა). სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით არ არის განსაზღვრული მინიმალური ქულა (60 ქულიდან), რაც უნდა დააგროვოს მაგისტრანტმა, რომ ის დაშვებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე. ამ შემთხვევაში, საჭიროა ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა. ნაშრომი წინასწარი განხილვისათვის წარედგინება შესაბამისი დეპარტამენტის სხდომაზე, რომლის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე სტუდენტი დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე. |

სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება იწერება კომისიის მიერ, რომელშიც შედის საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულის) ხელმძღვანელი და შესაბამისი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი.
გამოკითხულ მაგისტრანტთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მათი შეფასების სისტემა მეტ-ნაკლებად ან სრულიად გამჭვირვალეა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუები სტუდენტებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განისაზღვროს მინიმალური ქულა (60 ქულიდან), რაც უნდა დააგროვოს მაგისტრანტმა, რომ ის დაშვებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე.
- ეპიდემიოლოგიის სასწავლო კურსებში „ლექცია/პრაქტიკუმზე დასწრების" კომპონენტი უმჯობესია შეიცვალოს „ლექცია/პრაქტიკუმზე აქტივობით".

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ვიზიტის განმავლობაში გამოვლინდა, რომ მაგისტრანტებს აქვთ ღია ურთიერთობა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან. სტუდენტები სათანადო კონსულტაციებს იღებენ და ინფორმირებული არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, კარიერული განვითარების და სხვა საკითხებზე. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პედაგოგიურ დატვირთვაში გათვალისწინებულია ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების ჩატარება.<br>მაგისტრანტს შეუძლია წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით მიიღოს ინდივიდუალური კონსულტაცია, როგორც აკადემიურ, ისე პროგრამის ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან.<br>პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საერთაშორისო ღონისძიებებში, კვლევებსა და გაცვლით პროექტებში, ასევე, მედიცინის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ საუნივერსიტეტო კონფერენციებში.<br>ვიზიტის განმავლობაში წარმოდგენილი იყო მონაცემები მაგისტრანტების მონაწილეობის შესახებ „ერაზმუს+“-ის, „ერაზმუს მუნდუსის“ და ორმხრივი თანამშრომლობით მიმდინარე გაცვლით პროგრამებში. |

| |
|---|
| სხვადასხვა ორგანიზაციასთან და დამსაქმებელთან ურთიერთობა თითოეულ სტუდენტს საშუალებას აძლევს, მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება.<br>სტუდენტები იღებენ ინფორმაციასა და კონსულტაციებს დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, ასევე, უნივერსიტეტში მიმდინარე სხვადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობის შესახებ. მაგისტრანტთა და კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის პროგრამის პარტნიორ დაწესებულებებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტები<br>○ მაგისტრატურის გზამკვლევი<br>○ ინტერვიუები სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მაგისტრანტთა ხელმძღვანელებმა საერთო საუნივერსიტეტო წესებისა და სტანდარტების შესაბამისად გაიარეს აკადემიური პერსონალის დასაქმების მიზნით შემუშავებული პროცედურები და კონკურსი. ხელმძღვანელების კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ გამოცემული სახელმძღვანელოებით და გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით.
აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით.
აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობის ვალდებულება. თავის მხრივ, ეს პროცესი გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.
უნივერსიტეტი მხარს უჭერს პროგრამის განმახორციელებელი პირების (მათ შორის, მაგისტრანტთა ხელმძღვანელების) პროფესიულ განვითარებას, რაც ვლინდება ტრენინგებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური პერსონალის CV
- აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული შრომების ჩამონათვალი
- ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>„საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია ცოდნის, გამოცდილების და კვალიფიკაციის შესაბამისად. მათ გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია. |

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართულია 7 აკადემიური და 3 მოწვეული პედაგოგი. პროგრამას ემსახურება მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელიც ახდენს პროგრამაზე არსებული სტუდენტების სრულყოფილ მომსახურებას. პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და თსუ-ში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

თსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები, რომელთა მიზანია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოაყალიბოს ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით, მეორე მხრივ,უნივერსიტეტს გაუჩენს ვალდებულებას, შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ჩართული აკადემიური პერსონალის მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს გამოცემული სახელმძღვანელოები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და მაგისტრანტთა მაღალი აკადემიური მოსწრება, სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვაზე მიღებული მაღალი შეფასებები. აღნიშნულიდან გამომდინარე:
- სამაგისტრო პროგრამას „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია ჯანდაცვის ორგანიზაციაში მუშაობის მდიდარი გამოცდილება, ასევე პედაგოგიური მოღვაწეობის 15 წელზე მეტი სტაჟი, რის საფუძველზეც შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

**- სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ბაზაზე** - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრი, სადაც განთავსებულია სასწავლო აუდიორიები, ბიბლიოთეკა და სხვ. გარდა ამისა, სტუდენტებს სწავლაში ხელს უწყობს მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რის საფუძველზეც შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. სტუდენტებს სწავლისათვის ხელსაყრელი პირობები აქვთ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებული თსუ- ის წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმით N10, 29.12.2014 წ.) https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1182014k//;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №135/ნ 2013წლის 11 სექტემბერი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე. https://www.tsu.ge/data/file_db/sajaro/07matsne- 2014505-6.pdf
- დადგენილება №81/2018 , 26 თებერვალი, 2018, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ.
  https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/812018//
- ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ . თსუ-ის აკადმიური საბჭოს დადგენილება №122/2014, 29 დეკემბერი.
  https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014//
- დადგენილება №64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.
  https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//
- მედიცინს სამაგისტრო პროგრამა - საზოგადოებრივი ჯანდაცვა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

უნივერსიტეტის დაფინანსებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელდა რამდენიმე მიზნობრივ-სამეცნიერო პროექტი საქართველოში ამ დარგის აქტუალურ საკითხებზე.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა მონაცემები მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის შესახებ საქართველოში და საზღვარგარეთ კონფერენციებში, ტრენინგებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სამუშაო მივლინებებში, მათ შორის თსუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. აღნიშნული დადასტურდა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელის შესაწყობად პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის შექმნილია შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსები.

უსდ-ში ხორციელდება პროგრამის განმახორციელებელი პირების კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზი, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც გადადგმული იქნა შესაბამისი ნაბიჯები და განახლდა შიდა რეგულაციები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი
- თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პირებთან

| |
|---|
| ○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცნის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი განთავსებულია ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც) ბაზაზე (თბილისი, კახეთის გზატკეცილი N99, ადმინისტრაციული კორპუსი). შესაბამისად აკადემიური პერსონალი სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ განსახორციელებლად დკსჯეც სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით სარგებლობს. ცენტრი წარმოადგენს საქართველოს |

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის წამყვან ორგანიზაციას. საქმიანობის დეტალები და სტატისტიკური მონაცემები, ასევე ცენტრის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები, სამეცნიერო პროექტები და კვლევები მოცემულია ცენტრის ვებ-გვერდზე: http://ncdc.ge/

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვისთვის მაგისტრანტების განკარგულებაშია სააქტო დარბაზი და სასწავლო ოთახები, საერთო ფართით 540მ². სასწავლო ოთახები უზრუნველყოფილია სამუშაო მაგიდებით, ძირითადად 1 ადგილიანი სკამებით, დგას 15 კომპიუტერი, მათ შორის არის 5 პორტატული კომპიუტერი, ოთახები აღჭურვილია დაფებით, ეკრანებით და პროექტორებით. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ სპეციალური ეპიდემიოლოგიური პროგრამებით EIDSS; SPSS; EPI INFO; ArcGIS; Open Epi და სხვ. ცენტრის სასწავლო ოთახები და ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ჯანდაცვის თემაზე მომზადებული თემატური ლიტერატურით და სხვა სასწავლო მასალებით. სამეცნიერო კვლევითი პროცესის განსახორციელებლად, ასევე გამოიყენება ცენტრის ლუგარის სახელობის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია უახლესი ლაბორატოიული აპარატურითა და ტექნიკით. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თსუ ელექტრონული რესურსები. დამატებით, თსუ-ს ადმინისტრაციამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტს სასწავლო სივრცე გამოუყო თსუ ტურიზმის საერთაშორისო სკოლის შენობაში, სადაც სალექციო ოთახები აღჭურვილია დაფებით, პროექტორებითა და ეკრანებით.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ჯანდაცვის თემაზე ლიტერატურა როგორც თსუ, ისე ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულება;
- თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 23 თებერვლის N35/02-01 ბრძანება "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ";
- თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 26 თებერვლის N40/02-01 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“;
- „სასწავლო პლატფორმა moodle-ის მასწავლებლის სახელმძღვანელო“;
- უნივერისტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/
- თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი http://www.sciencelib.ge/
- თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 29 მარტის N46/02/01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

| |
|---|
| ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“<br>○ თსუ-ის რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის N265/01-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიეროკვლევითი პროდუქციის ღია წვდომის ციფრული არქივის („რეპოზიტორის“) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“<br>○ თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/<br>○ ელექტრონულ ბაზებთან წვდომა https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/<br>○ ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>○ საფაკულტეტო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ჩამონათვალი/კატალოგი და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში და ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას.

ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და ასევე სტუდენტები.

ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია:

1. პროგრამის მომსახურე, როგორც საშტატო განრიგით გათვალისწინებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, ასევე, შტატგარეშე მომუშავე პერსონალის ანაზღაურება;
2. წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრებისათვის ფინანსური უზრუნველყოფა;
3. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურება;
4. სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისათვის აუცილებელი ფინანსური უზრუნველყოფა;
5. სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსება და სხვა;

აღნიშნული მიზნებისათვის ფინანსური სახსრების გამოყენება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საჭიროების შესაბამისად ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და/ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საჭიროებისამებრ, ფაკულტეტისთვის ყოველწლიურად განსაზღვრული ხარჯვითი ნაწილი განიცდის ცვლილებას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში მაღალი კვალიფიკაციის კადრების ჩართულობას. ფაკულტეტზე ხორციელდება სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნა, რომლის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი თანხები;

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი პასუხობს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად დასახული მიზნებს, მდგრადია, ბიუჯეტი ორიენტირებულია:

- პიროვნების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობასა და მისი კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე;
- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ გაუმჯობესებაზე;
- სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარებაზე;

- ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველყოფაზე.
- უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილისა და ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა 2014-2018 წწ.
- ფაკულტეტის პერსონალის და ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების პერსონალის მივლინებების დინამიკა 2014-2018 წწ.
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინაციას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - უნივერსიტეტის მართვის ორგანო - რომლის საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: თსუ-ში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა; ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის არჩეულ იქნა გზა, რომელიც უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას ითვალისწინებს.

ფაკულტეტის მისიიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა და მუდმივი გაუმჯობესება მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს, შესაბამისად ფაკულტეტზე როგორც ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება, ისე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი წესების და პროცედურების შესაბამისად, ასევე წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების პროცედურებიც მიმდინარეობს პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს ისეთი საგანმანათლებლო

პროგრამების შემუშავებას და/ან განვითარებას, რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებულია და ითვალისწინებს დარგის და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს.
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები.
მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, ისე სხვა დაინტერესებული მხარეები, კერძოდ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თსუ-ში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა (მათ შორის შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან) და მათი კმაყოფილების კვლევა თსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებით და სხვ. პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება.
გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ კითხვარებს, ისე დამატებით კითხვარებს, რაც უკავშირდება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის დარგს.
ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შეფასების შედეგები (გამოკითხვის შედეგები და პროგრამასთან განხორციელებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის სტუდენტთა პროგრესის, აკადემიური მოსწრების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები, კურსადმთავრებულთა რაოდენობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და სხვა, სხვადასხვა მაჩვენებელთა თანაფარდობები, მაგ ლექტორი/სტუდენტი და სხვა) განიხილება კომიტეტის სხომაზე, რაც ხდება კომიტეტის მიერ სხვადასხვა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად რეკომენდაციების შემუშავების და შემდგომ უკვე პროგრამაში სათანადო ცვლილებების განხორციელების საფუძველი. განვითარების და გაუმჯობესების უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფის მიზნით მონაცემები სისტემატიზირებულია პროგრამების პორტფოლიოს სახით.
ყოველწლიურად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება.
მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუდმივ რეჟიმში ხდება კონსულტაციების გაწევა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალისთვის, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ორგანიზებას უწევს ტრეინინგებსა და სემინარებს და თვითონაც მონაწილეობს პროფილურ ტრენინგებსა და სემინარებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი № 17) https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1132017_d1.pdf
- დანართი №8 სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,

შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებით). https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1002019_d1.pdf

- დანართი №2 სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №46/2018 დადგენილებით)
- დანართი №16 მედიცინის ფაკულტეტზე ჩატარებული ღონისძიებების და პერსონალის საგანმანათლებლო თემატიკაზე ორგანიზებულ კურსებში, ტრენინგებში, სემინარებში და ვორკშოპებში მონაწილეობების აღწერა.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

| |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" გარე შეფასება აკრედიტაციის მიზნით განხორციელდა 2011 წელს, რის შემდეგაც პერიოდულად ხორციელდებოდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.<br>გარდა ამისა, გამოიყენება ფაკულტეტზე არსებული გარე შეფასების საშუალებები. პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები მონაწილეობდნენ ფაკულტეტზე მიმდინარე საერთაშორისო საგრანტო პროექტებში. მაგ. „EU Erasmus +"-ის, SIU-ის (ნორვეგია), NIH-ის (აშშ) დონორობით და სხვ. მედიცინის ფაკულტეტზე მიმდინარე პროექტების განხორციელებისას პროექტების საერთაშორისო კონსორციუმის წარმომადგენლების მიერ შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, სამაგისტრო პროგრამაში ასახულია უცხოელი კოლეგების მიერ გაზიარებული გამოცდილება და მათი წინადადეგები პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუს შედეგები<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება სხვადასხვა რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორის გამოყენებით, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ამ პროცესში ჩართული არიან შემდეგი პირები (1) სტუდენტები, (2) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი, (3) დამსაქმებლები და (4) პროგრამის კურსდამთავრებულები.
ინტერვიუების დროს თითოეული ამ ჯგუფის წარმომადგენელმა დაადასტურა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში მონაწილეობა. წარმოდგენილი იყო კონკრეტული მაგალითები პროგრამაში მათი თანამონაწილეობით შეტანილი ცვლილებების შესახებ. აკრედიტაციის მზადების პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგები
- შიდა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სამაგისტრო პორგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანა მებონია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

დავით ჯიქია

ვახტანგ თებიძე,